პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН КОМИТЕТА ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ ПРИ СОВЕТЕ МИНИСТРОВ ГССР И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

16 მარტი, კვირა, 1986 წ.
№ 52 (9148) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში

თბილისელები რევანშს იღებენ

თბილისი. საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის ზამთრის საცურაო აუზი.

„დინამო" (თბილისი) — „ბალტიკა" (ლენინგრადი) 9:7 (2:1, 2:1, 1:3, 4:2).

„დინამო": ტუკვაძე, ზუმბულიძე, გვახარია, რურუა, კუტივაძე, კოღუაშვილი, ნიკოლაიშვილი. მათ გარდა თამაშობდა გიორგაძე.

„ბალტიკა": ანიკინი, ავაკუმოვი, პოპოვი, შაიხუტდინოვი, ელისეენკო, შმელიევი, ვლადიმიროვი. მათ გარდა თამაშობდნენ ოსიპოვი, პოპოვი.

ბურთები გაიტანეს: თბილისელთაგან — კუტივაძემ (4), ზუმბულიძემ (2), რურუამ, გვახარიამ და ნიკოლაიშვილმა, ლენინგრადელთაგან — ელისეენკომ, პოპოვმა (2-2), შმელიოვმა, ვლადიმიროვმა და ავაკუმოვმა.

მსაჯები: კოხტენკო (ალმა-ათა), დობროტვორსკი (დუშანბე).

იანვრის მიწურულს თბილისის დინამოელებმა ვაკის საცურაო აუზში საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის მეორე ტურის მატჩებში ლენინგრადის „ბალტიკას", სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბისა და მოსკოვის „მოსკვიჩს" უმასპინძლეს. მაშინ დინამოელებმა მხოლოდ „მოსკვიჩთან" შეძლეს ერთადერთი ქულის აღება, რამაც, ბუნებრივია, მათი გულშემატკივრები გააწბილა. თბილისელებს არც მომდევნო ტურში გამოუჩენიათ თავი, მაგრამ მერე მდგომარეობა საგრძნობლად გამოასწორეს.

ახლა თბილისელები კვლავ იმ გუნდებს ხვდებიან, ვისაც იანვარში უმასპინძლეს. ასე რომ, გულშემატკივართა თვალში რეაბილიტაციის საშუალება აქვთ.

პირველ მატჩში („ბალტიკასთან" შეხვედრაში), როგორც ვიუწყებოდით, თბილისელებმა გაიმარჯვეს, ეს გამარჯვება სრულფასოვანი რევანში გახლდათ. მასპინძლები მეთოდურად, მშვიდად და აუღელვებლად უტევდნენ მეტოქის კარს. თამაშის არც ერთ მომენტში, მაშინაც კი, როცა ლენინგრადელებმა ანგარიში ორჯერ გაათანაბრეს (4:4, 5:5), თბილისელებს აღელვება არ დატყობიათ.

მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა ტუკვაძემ. მან განსაკუთრებით კარგად ითამაშა მეორე პერიოდში, როცა მეტოქეთა რამდენიმე გამალებული იერიში მოიგერია.

ერთი სიტყვით, დინამოელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს. საინტერესოა, რომ მათ ოთხი ბურთი მაშინ გაიტანეს ლენინგრადელთა კარში, როცა სარბიელზე მეტოქეებს თანაბარი რაოდენობის მოთამაშეები ჰყავდათ, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ კვლავინდებურად თვალში საცემია მათი სუსტი თამაში რიცხობრივი უპირატესობისას. თბილისელებს შვიდჯერ ჰყავდათ „ზედმეტი" მოთამაშე, მაგრამ მიზანს მხოლოდ ორჯერ მიაღწიეს. ლენინგრადელებმა კი ექვსი ასეთი შემთხვევიდან ექვსივეჯერ შეძლეს თბილისელთა კარის დალაშქვრა.

ბაქოში მეხუთე ტურის პირველი შეხვედრები ასე დამთავრდა: კქფ (ბაქო) — „დინამო" (ალმა-ათა) — 7:7 (3:0, 1:3, 2:3, 1:1), „დინამო" (კიევი) — „ლოკომოტივი" (ხარკოვი) — 3:6 (2:0, 0:3, 1:1, 0:2), „დინამო" (ლვოვი) — „უნივერსიტეტი" (მოსკოვი) — 7:6 (1:2, 3:1, 0:1, 3:2).

გუშინ...

თბილისელები სამხედრო საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტული კლუბის წყალბურთელებს შეხვდნენ. მასპინძელთა სასტარტო შემადგენლობა ისეთივე იყო, როგორიც ლენინგრადელებთან მატჩში. მათ გარდა სარბიელზე ვიხილეთ აგრეთვე ახალგაზრდა წყალბურთელები: მაჭავარიანი, ბალათურია და [illegible]. უნდა ითქვას, რომ ისინი, აგრეთვე რამიშვილი და გიორგაძე კარგად შეერწყნენ თანაგუნდელებს. ლაღად, აქტიურად, ენერგიულად თამაშობდნენ. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო რამიშვილის გაბედული ტყორცნები, რომლებსაც, მართალია, შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ ასეთი თამაში სამომავლოდ უთუოდ კარგი განაცხადია.

ამ შეხვედრაში განსაკუთრებით ლამაზი გოლები გაიტანეს ნიკოლაიშვილმა (2) და ზუმბულიძემ (2). მეტოქის კარის აღებით თავი ყველაზე მეტად კუტივაძემ გამოიჩინა (4). მათ გარდა მეტოქის კარი აიღო გვახარიამ. ამდენივე ბურთი გაიტანეს მეზღვაურებმაც (მარკიჩი — 3, ობოდკოვი — 2, სემიონოვი, კოლოტოვი, კლეიმენოვი და ბოიკო — 1-1. მათ გარდა თამაშობდნენ: ბიკოვი, ოგოროდნიკოვი, ბიჩიხინი, მაქსიმოვი და გორშკოვი).

ფრე ამ გუნდების შეხვედრის ლოგიკური დასასრული გახლდათ. მთელმა მატჩმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა (4:4, 2:1, 1:2, 2:2) და, უნდა აღინიშნოს, რომ მეტად დაძაბული და საინტერესო გახლდათ.

გუშინ თბილისში გამართული დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „მოსკვიჩი" — „ტორპედო" — 9:8 (0:1, 2:3, 4:2, 3:2), „ბალტიკა" — „დინამო" (მოსკოვი) — 3:13 (2:2, 0:4, 0:5, 1:2).

ავთანდილ გურასაშვილი.

გათამაშების ცხრილი

თბილისის ჯგუფი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" (მოსკოვი)	18	16	2	0	183-114	34
ცსკ ვმფ	18	11	1	6	164-148	28
„მოსკვიჩი" (მოსკოვი)	18	8	3	7	119-124	19
„დინამო" (თბილისი)	18	5	5	8	134-150	15
„ბალტიკა" (ლენინგრ.)	18	4	2	12	128-158	10
„ტორპედო" (მოსკოვი)	18	0	2	16	135-177	2

ლეილა მესხი და ვლადიმერ გაბრიჩიძე ფინალში ითამაშებენ

ოქროს მედლებს შეიძენებენ...

ჩოგბურთელთა ზამთრის პირველ საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც მოსკოვში, „დრუჟბის" უნივერსალურ სპორტულ დარბაზში მიმდინარეობს, წარმატებით ასპარეზობენ ქართველი სპორტსმენები. როგორც ვიუწყებოდით, პირველ ორ წრეში ლეილა მესხმა ერევნელი ოვსეპიანი და დონეცკელი ელისეენკო დაამარცხა. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის I კურსის სტუდენტმა შესანიშნავად ჩაატარა ნახევარფინალური შეხვედრაც, რომელშიც მისი მეტოქე კიეველი ნინა ავდეევა იყო. მართალია, პირველი სეტი ავდეევამ დაძაბულ ბრძოლაში მოიგო (7:6), მაგრამ მესხმა შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და მომდევნო ორ პარტიაში დამაჯერებლად გაიმარჯვა — 6:2, 6:4. ფინალურ მატჩში ლეილა შეხვდება მოსკოველ ნატალია ბიკოვას, რომელმაც ნახევარფინალში კიეველ ელენა რიჟიკოვას სძლია— 6:4, 6:2.

ლეილამ ძლიერად ჩაატარა წყვილთა თანრიგის შეხვედრებიც, სადაც იგი მოსკოველ სვეტლანა პოგორელოვასთან ერთად ასპარეზობს. მეოთხედფინალში მესხი — პოგორელოვას დუეტმა ელისეენკო — ბიკოვას წყვილი დაამარცხა (6:1, 1:6, 7:5), ნახევარფინალში კი მოსკოველებს, ოქსანა ლიფანოვასა და ნატალია რევას აჯობა — 6:1, 6:4. გადამწყვეტ მატჩში მესხი და პოგორელოვა რიჟიკოვასა და ავდეევას შეხვდებიან.

ვაჟთა წყვილების თანრიგში ასეთსავე წარმატებას მიაღწია 18 წლის თბილისელმა სპორტსმენმა ვლადიმერ გაბრიჩიძემ (მისი მეწყვილეა უჟგოროდელი იოსიფ კროჩკო). მეოთხედფინალში გაბრიჩიძემ და კროჩკომ სამ პარტიაში დაამარცხეს კიეველი ავდეევი და მინსკელი დემიდენკო (6:7, 6:2, 6:3), ნახევარფინალში კი სიმფეროპოლელი ალექსანდრ ჩერნეცკისა და უფელი ანდრეი ჩერკასოვის წყვილს სძლიეს — 7:6, 7:6. ფინალში ისინი შეხვდებიან რიგელ გირტს ძელდისა და მოსკოველ ანდრეი ოლხოვსკის.

ფინალური ორთაბრძოლები დღეს გაიმართება.

ბრინჯაოს მედლები „სპარტაკს"

ლენინგრადი. დამთავრდა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა სუპერფინალური მატჩების სერია, რომელმაც ბრინჯაოს მედლის მფლობელის ვინაობა გამოავლინა. ამ ჯილდოსთვის, როგორც ცნობილია, ლენინგრადის „სპარტაკი" და კიევის „სტროიტელი" იბრძოდა.

შეგახსენებთ, რომ პირველი შეხვედრა უკრაინის დედაქალაქში „სტროიტელმა" მოიგო, განმეორებითი მატჩი კი ლენინგრადში სპარტაკელთა გამარჯვებით დამთავრდა — 64:62 (35:20). შეჯიბრების დებულების თანახმად, დაინიშნა მესამე დამატებითი შეხვედრა, რომელშიც კვლავ ნევისპირელებმა იმარჯვეს — 73:72 (37:38).

ამრიგად, კალათბურთელთა 53-ე საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები ლენინგრადელმა კალათბურთელებმა მოიპოვეს. ახლა გასარკვევი დარჩა ოქროს მედლებას საკითხი. მთავარ სუპერფინალებში ერთმანეთს კაუნასის „ჟალგირისი" ცსკა-ს შეხვდება.

ინფორმაცია

14 მარტს დაიწყო სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის III ტურის მატჩები. კიევის დინამოელებმა თავიანთ მინდორზე ანგარიშით 2:0 დაამარცხეს ერევნის „არარატი".

ალმა-ათა. წყალში მხტომელთა საერთაშორისო ტურნირში — „გაზაფხულის მერცხლები" საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, ინგლისის, საფრანგეთის, გფრ-ის, შვეიცარიის, მექსიკის, რუმინეთისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ქალთა შეჯიბრება 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 16 წლის ჩინელმა გაო მინმა მოიგო — 554,73 ქულა. ვაჟებში (10 მ ტრამპლინი) უძლიერესი მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი, მინსკელი ალექსანდრე პორტნოვი იყო — 646,02 ქულა.

მოსკოვი. 17-23 მარტს ჟენევაში გაიმართება ფიგურისტთა მსოფლიო ჩემპიონატი. დაკომპლექტდა სსრ კავშირის ნაკრები, რომელშიც შევიდნენ: ელენე ვალოვა, ოლეგ ვასილიევი, ნატალია ბესტემიანოვა, ანდრეი ბუკინი, ალექსანდრე ფადეევი და სხვა ახალგაზრდა ფიგურისტები.

გორკი. აქ გაიმართა წყალბურთელ ქალთა საკავშირო შეჯიბრება. პირველი ადგილი მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდმა მოიპოვა, მეორე ადგილზე ადგილობრივი „ტრუდი" გავიდა, მესამეზე კი თბილისის „ბურევესტნიკის" ქალთა კოლექტივი.

46-ე ტრადიციული...

გუშინ თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს ვაჟთა 46-ე ჩემპიონატის (უმაღლესი ლიგა) IV ტურის შეხვედრები. უბილავამ მოუგო ჩაჩიბაიას, ჯანჯღავამ — გიორგაძეს, ბაღათუროვმა კი — ბოკუჩავას. ყაიმზე შეთანხმდნენ სუპატაშვილი — თორია, პიპაშვილი — ჩიქოვანი, ტყებუჩავა — ეფიმოვი. იოსელიანი — კრასენკოვის პარტია გადაიდო.

IV ტურის შემდეგ ლიდერობენ: ელიზბარ უბილავა და ლაშა ჯანჯღავა — 3-3 ქულა.

დღეს, 16 მარტს გაიმართება V ტურის შეხვედრები.

პოპულარიზაციას ამას ჰქვია!

14 მარტს მსოფლიო ჩემპიონმა გარი კასპაროვმა ორი ახალი, მეტად უჩვეულო პარტიის თამაში დაიწყო. იგი ეთამაშება ლიხაჩოვის სახელობის ქარხნის მოჭადრაკეებს და გაზეთ „ტრუდის" მკითხველებს. ჩემპიონსა და მატჩის მონაწილეთა შორის შუამავლობა გაზეთის რედაქციამ იკისრა.

და აი, გაზეთ „ტრუდის" კონფერენც-დარბაზში შეიკრიბნენ ავტოქარხნის დიდი კოლექტივის (აქ ორიათასამდე მოჭადრაკეა) წარმომადგენლები და გაზეთის მკითხველთა „დელეგატები". მხარეებმა ორივე შეხვედრაში 10-10 სვლა გააკეთეს. პირველ პარტიაში მსოფლიო ჩემპიონი ავტოქარხნელებს, რომლებმაც გრიუნფელდის დაცვა გაითამაშეს, თეთრებით ეთამაშება; მეორე პარტიაში კი, რომელიც მკითხველებმა დაიწყეს, მან ძველინდური დაცვა აირჩია.

საწყისი პოზიციები ყოველ კვირას (სამშაბათობით) დაიბეჭდება გაზეთ „ტრუდში". შუალედში კი მკითხველები და ავტოქარხნელები ფოსტით გამოგზავნიან თავიანთ წინადადებებს. კასპაროვი „უპასუხებს" იმ სვლებზე, რომელთაც უმრავლესობა აირჩევს.

დღეს მცხეთა პირველად უმასპინძლებს მარათონულ ასპარეზობას — ქალაქის ტყე-პარკში გაიმართება საქართველოს თასის გათამაშება მარათონულ რბენაში. ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ რამდენი მონაწილე გამოვა ამ უძნელეს დისტანციაზე, მაგრამ მთავარი ის არის, რომ მარათონს, რომელიც ერთ-ერთი პოპულარული შეჯიბრებაა მთელს მსოფლიოში, უკვე ჩვენშიც ჰყავს მიმდევრები და თაყვანისმცემლები. ისინი სპორტულ თუ რბენის მოყვარულთა ჯგუფებში მეცადინეობენ. მათი შეკავშირება და საერთო საქმისათვის — სპორტული თუ გამაჯანსაღებელი რბენის პოპულარიზაციისათვის დარაზმვა სწორედ კარგად ორგანიზებულ შეჯიბრებას შეუძლია. საქართველოს თასის გათამაშებაც ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯია.

შეგახსენებთ, რომ ასპარეზობა მცხეთაში 12 საათზე დაიწყება. თბილისიდან მცხეთისაკენ ავტობუსები გავლენ 10 საათზე, თავშეყრის ადგილი საქართველოს სპორტკომიტეტის შენობასთან არის დანიშნული (ვაკის საცურაო აუზის მახლობლად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის პირველობა მძლეოსნობაში ჭაბუკთა შორის

გულდამშვიდების უფლება არა გვაქვს

როგორც გაცნობეთ, ამ რამდენიმე დღის წინ საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სასახლეში თბილისელმა მძლეოსნებმა ზამთრის სეზონის ბოლო შეჯიბრება გამართეს. სხვა დროს ამ ასპარეზობას იქნებ არც გამოეწვია განსაკუთრებული ინტერესი, მაგრამ ახლა მასზე ღირს დაწვრილებით ლაპარაკი. საქმე ისაა, რომ შეჯიბრება 1969-1970 წლებში დაბადებული მძლეოსნებისთვის გაიმართა. ამ ასაკის სპორტსმენები კი, როგორც ცნობილია, ახალი დებულებით მოსწავლეთა მომავალ, XVIII სპარტაკიადაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ. ასე რომ, პერსპექტიულ მძლეოსანთა დიდი ჯგუფი უცბად „თამაშგარე მდგომარეობაში“ აღმოჩნდა, მათ მიმართ ინტერესი აშკარად შენელდა და სპორტსმენებსაც, ცხადია, ყურადღება მოაკლდათ. ამის შესახებ ერთხელ უკვე ვწერდით ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, მაგრამ, სანამ ეს საკითხი საბოლოოდ არ მოგვარდება, გულდამშვიდების უფლება არა გვაქვს.

საკითხი კი მეტად მტკივნეულია. საბჭოთა კავშირის ხალხთა X სპარტაკიადაზე სწორედ ამ ახალგაზრდების იმედად უნდა ვიყოთ. ახლა, IX სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში ჩვენი გუნდის ხელმძღვანელები და მწვრთნელები საგანგებოდ უფრთხილდებიან და თავს დაჰკანკალებენ თითოეულ სპორტსმენს, ვისაც შეუძლია ნაკრებს ქულები მოუტანოს. ერთი-ორი მათგანის მწყობრიდან გამოსვლამ შეიძლება მთელი გუნდის შედეგებზე მოახდინოს გავლენა. ამიტომ, თუ ახლა არ ვუპატრონეთ 16-17 წლის ახალგაზრდებს, ოთხი წლის შემდეგ სანანებლად გაგვიხდება საქმე. ბოლოს და ბოლოს, ჩვენი სპორტის მთავარი მიზანი მოსწავლეთა სპარტაკიადაზე წარმატების მოპოვება კი არ არის, არამედ „დიდი სპორტის“ მწვერვალების დაპყრობა.

ჯერჯერობით კი საქართველოს სპორტკომიტეტის მძლეოსნობის სამმართველომ ასეთი გამოსავალი ნახა: 1960-1970 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა მოვლა-პატრონობა საქართველოს პროფსაბჭოს სპეციალიზებული მძლეოსნობის სკოლას დაავალა (დირექტორი, სპორტის დამსახურებული ოსტატი დიმიტრი იოსელიანი). მაგრამ ასეთი „ადმინისტრაციული“ საშუალებით მიზანს ვერ მივაღწევთ. აქ საჭიროა სათანადო დაინტერესება და ქმედითი ღონისძიებების გატარება სხვა სპორტული ორგანიზაციების, განსაკუთრებით კი სპორტკომიტეტების მიერ.

სწორედ ამიტომ მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული შეჯიბრება თბილისის სპორტკომიტეტის მუშაკებმა ჩაატარეს. როგორც უკვე იცით, მათ ჭაბუკ მძლეოსნებთან ერთად საასპარეზოდ მოზრდილებიც დაუშვეს.

ტექნიკური შედეგები:

ვაჟები:

რბენა. 60 მ. ო. კასოევი („ლოკომოტივი“) — 6,7. **200 მ.** ა. ალიევი (ასკ) — 22,0. 400 მ. მ. გაფრინდაშვილი („კოლმეურნე“) — 51,3. **800 მ.** ვ. ბარდინი (ასკ) — 1.56,6. **1500** და **3000 მ.** ო. ხარაზიშვილი (ასკ) — 4.09,9 და 8.45,4.

60 მ თარჯრბენი. დ. კალაძე („დინამო“) — 7,6; 2. ლ. ბლიაძე — 7,9. **2000 მ წინაღობებით.** შ. ნადირაძე (ორივე — „კოლმეურნე“) — 5.42,2

5 კმ სპორტული სიარული. ს. ვალიშვილი („სპარტაკი“) — 23.24,0.

ხტომა. სიგრძე. ა. კურდინოვსკი („დინამო“) — 7,23 მ. **სიმაღლე** ა. პერემიტინი („ლოკომოტივი“) — 2,05 მ. **ჭოკი.** ა. შეკონიანი („სპარტაკი“) — 3,60 მ.

ბირთვი. დ. ჯარაშნელი („კოლმეურნე“)— 15,18 მ.

ქალები. რბენა. 60 მ. მ. აფციაური („კოლმეურნე“) — 7,5. **200 მ.** შ. ონიაშვილი („განთიადი“) — 25,8. **400** და **800 მ.** ო. დუბროვინა („სპარტაკი“) — 1.01,1 და 2.25,6; **1500 მ.** ს. მირზოევა („განთიადი“) — 5.08,3.

60 მ თარჯრბენი. ქ. ღონღაძე („ბურევესტნიკი“) — 9,1.

ხტომა. სიგრძე. აფციაური — 5,48 მ. **სიმაღლე.** მ. იგნატიევა („სპარტაკი“) — 1,65 მ.

ბირთვი. მ. პინჩარაული (პროფკავშირული სპორტსაზოგადოება) — 13,58.

გუნდური. 1. „კოლმეურნე“ — 105 ქულა, 2. „დინამო“ — 98, 3. ასკ — 95; „ბურევესტნიკი“ — 88. 5. „სპარტაკი“ — 85. 6. „ლოკომოტივი“ — 29; 7. „განთიადი“ — 28; 8. „შრომითი რეზერვები“ — 25. 9. პროფკავშირული სპორტსაზოგადოება — 18.

800 მეტრზე გარბენის მონაწილენი.

ლახტის წრეში

კალაურელთა გულისტკივილი

სოფელი კალაური საკმაოდ მოზრდილი სოფელია. სოფლის ახალგაზრდებს ჭიდაობაც მოსწონთ და ფრენბურთიც, მაგრამ გამორჩეულად მაინც ფეხბურთი უყვართ. ამიტომ იყო, როცა ათი წლის წინათ გურჯაანის რაიონის ამ სოფელში ფეხბურთის მოედანი მოეწყო, დიდმა და პატარამ ერთნაირად რომ გაიხარა. აქ იმართება რაიონული შეჯიბრებები, შეხვედრები უბნის გუნდებს, ვეტერანებს და ახალგაზრდებს შორის, აქვე ემზადება კალაურის საბჭოთა მეურნეობის გუნდი რაიონის პირველობისა და თასის გათამაშებისათვის. ყველაფერ ამის სულისჩამდგმელია სოფლის ახალგაზრდობის ენთუზიაზმი. დიახ, სოფლის ხელმძღვანელობა (მეურნეობის დირექტორი ემილ კორძაია, სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ქევხიშვილი) მასობრივი სპორტის განვითარებისათვის თითქმის არ ზრუნავს. წლების განმავლობაში მთლიანად ან ნაწილობრივ აუთვისებელი რჩება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის გამოყოფილი თანხები. სოფლის სპორტსმენებს არა აქვთ სპორტული ფორმა და ინვენტარი, ამიტომ ხშირად აკლდებიან რაიონულ შეჯიბრებებს. სავალალო მდგომარეობაშია ფეხბურთის მოედანი, რომელიც გაზაფხულის წყალდიდობის დროს ნელ-ნელა კლებულობს სიგანეში. მეორე მხრიდან სტადიონს სოფლის უბანი გადმოჰყურებს, რომლის მკვიდრნიც ნაგავს პირდაპირ მოედანზე ყრიან, რაც საშინელ ანტისანიტარიას ქმნის. ფერდობიდან ჩამოზვავებული მიწა კიდევ ხუთი-ექვსი მეტრით ამცირებს მინდვრის სიგანეს. მოედანზე ხშირად პირუტყვიც დათარეშობს. რა ხანია გამოსაცვლელია მორყეული ფეხბურთის კარები. ერთი სიტყვით, თუ მოედანი არ მოწესრიგდა, კალაურელები ალბათ წელს მონაწილეობას ვერ მიიღებენ რაიონის საფეხბურთო პირველობაში. ახალგაზრდობა მზადაა თავად იმუშაოს მოედნის მოსაწესრიგებლად, ოღონდ დახმარებაა საჭირო.

სხვათა შორის, მისახედია კალათბურთის მოედანიც. არავინ იცის რა დანიშნულება აქვს კალათბურთის ფარებს, რომლებიც რვა წელიწადია საყვედურის ნიშნად თავჩაქინდრული დგანან კალათის გარეშე.

ალექსი პაპოშვილი,
„ლელოს“ საკ. კორ

გურჯაანის რაიონი.

* * *

რეპლიკა

თამაშს ვერ ვუყურებთ

თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ფეხბურთის მატჩების საყურებლად მოსულ მაყურებელთა ერთ ნაწილს პრეტენზია გვაქვს. საქმე ისაა, რომ აღმოსავლეთ ტრიბუნის I იარუსის პირველ 8 რიგში მსხდომთ საშუალება არა გვაქვს ნორმალურად ვნახოთ თამაშის მსვლელობა. მთელი მინდვრის სიგრძეზე გაჭიმულია საკმაოდ მაღალი სარეკლამო ფარები, ჩვენც არსებითად მხოლოდ ფეხბურთელთა თავებს ვხედავთ, ხოლო ყველაფერ დანარჩენს, რაც კი დაბლა, მიწაზე ხდება — ვერა, ფეხბურთი კი, მოგეხსენებათ, უპირატესად ფეხით თამაშია.

რომ ზემოაღნიშნული ადგილებიდანაც კარგად ჩანდეს ფეხბურთის თამაში, სარეკლამო ფარები გარკვეული მანძილით უნდა დააცილონ მინდორს ან დაადაბლონ.

გულშემატკივართა სახელით
რუბენ ფერაძე.

ყველას თბილისელებმა აჯობეს

ინგა ჩხაიძე.

თბილისის სპორტის სასახლემ კიდევ ერთ მნიშვნელოვან შეჯიბრებას უმასპინძლა. აქ ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი მხატვრულ ტანვარჯიშში (ჯგუფური ვარჯიში და „იმედის“ ტურნირი). ტურნირში მონაწილეობდა 22 გოგონა (12 თბილისიდან, 3 რუსთავიდან, 3 აჭარიდან, 3 აფხაზეთიდან და ერთი ქუთაისიდან), რომელთა ასაკი 15 წელს არ აღემატებოდა. ასპარეზობა ჩატარდა სპორტის ოსტატთა პროგრამით.

ჯგუფურ ვარჯიშში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი (ფ. ფანქველაშვილი, ე. შირინკინა, თ. ქუმსიაშვილი, ლ. აბაზაძე, ბ. დავითური, დ. სანიკიძე)—37,65 ქულა; 2. რუსთავი — 34,8; აფხაზეთი — 33,85.

„იმედის“ ტურნირი ასეთი შედეგებით დასრულდა. **მრავალჭიდი.** 1. ი. ჩხაიძე — 56,2; 2. ე. ბედოშვილი — 55,35; 3. ვ. ყიფიანი— 55,2; 4. ნ. ლეშქაშელი — 55,1; 5. ხ. აფაქიძე — 54,75 (ყველა — თბილისი); 6. ე. კოზმოვა (რუსთავი) — 53,6. **მრავალჭიდის ცალკეული სახეობები. ვარჯიში უსაგნოდ.** 1. ე. ბედოშვილი — 18,7; 2. ნ. ლეშქაშელი — 18,65; 3. ი. ჩხაიძე — 18,6. **სახტუნაო.** 1. ი. ჩხაიძე — 18,9; 2. ნ. ლეშქაშელი — 18,7; 3-4. ხ. აფაქიძე, ვ. ყიფიანი — 18,2. **რგოლი.** 1. ე. ბედოშვილი — 18,8, 2. ი. ჩხაიძე — 18,75; 3. ვ. ყიფიანი — 18,55. **ბურთი.** 1. ი. ჩხაიძე — 18,8; 2. ე. ბედოშვილი — 18,4; 3-4. ხ. აფაქიძე, ვ. ყიფიანი — 18,15. **გურზები.** 1. ნ. ლეშქაშელი — 18,9; 2-3. ი. ჩხაიძე, ე. ბედოშვილი — 18,75. **ბაფთა.** 1. ი. ჩხაიძე — 18,95; 2. ე. ბედოშვილი—18,45; 3. ხ. აფაქიძე — 18,4.



ნატანებელი „კლასიკოსები“ საკავშირო ტურნირზე

ბელორუსიის ქალაქ გლუბოკოეში გაიმართა „კლასიკოსთა“ საკავშირო ტურნირი, რომელშიც საშუალო და უმცროსი ასაკის ჭაბუკი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების (კოლმეურნეობის თავმჯდომარე — სოციალისტური შრომის გმირი გივი წითლიძე) ბავშვთა სპორტული სკოლის მოჭიდავეები.

საშუალო ასაკის სპორტსმენთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს გოჩა გოგელიამ და გოჩა კონტრიძემ, უმცროს ასაკობრივ ჯგუფში კი პირველ ადგილებზე გავიდნენ გიორგი გობრონიძე, ალექსანდრე ბოლქვაძე და ზაურ გაგუა. ამას გარდა მახარაძელმა მოჭიდავეებმა (მწვრთნელები — გურამ მაჭარაშვილი და ბადრი ნიშნიანიძე) კიდევ შვიდი საპრიზო ადგილი დაიკავეს.

მოკლედ

ქართული ჭიდაობის მადლი

გორის კეთილმოწყობილ საჭიდაო დარბაზში ჩატარდა 15-16 წლის ჭაბუკთა პირად-გუნდური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც „სპარტაკის“, „განთიადის“, „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, „კოლმეურნეს“, „შრომითი რეზერვებისა“ და სხვა საზოგადოებების ათლეტები გამოდიოდნენ.

ზოგიერთ წონით კატეგორიაში მაყურებლებმა ლამაზი და ტექნიკური ორთაბრძოლები იხილეს. შეჯიბრების მონაწილეთაგან თავი გამოიჩინეს: სპარტაკელებმა — რ. ლაფერაშვილმა, დ. ჩიკაშუამ, ზ. ბექანიშვილმა, თ. საგაშვილმა, დინამოელებმა — ნ. ქენქაძემ, ჯ. მარგიევმა, „კოლმეურნეს“ წარმომადგენლებმა — ზ. მაისურაძემ, ქ. კახაბრიშვილმა და სხვ.

გუნდური პირველობა „სპარტაკის“ კოლექტივს დარჩა. მომდევნო ადგილებზე „განთიადისა“ და „კოლმეურნეს“ წარმომადგენლები გავიდნენ.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: რ. ხეთაგაშვილი („კოლმეურნე“), დ. ჩიკაშუა („სპარტაკი“), მ. ხეცურიანი („კოლმეურნე“), ზ. გაზაევი („განთიადი“), ი. წულიაშვილი („სპარტაკი“), გ. ბერბიჭაშვილი („დინამო“), ბ. მამულაშვილი, ვ. კაკაშვილი (ორივე — „განთიადი“), ჯ. ნარიმანაშვილი („დინამო“).

სიმონ მაისურაძე.

დებიუტანტი

მამუკა ბოსტოღანაშვილი

ტყვიის სროლა (პისტოლეტით სროლა)

დაიბადა 1969 წლის 26 აგვისტოს, თბილისში.
სიმაღლე 165 სმ, წონა — 68 კგ.
85-ე საშუალო სკოლის მოსწავლე.
ვარჯიში დაიწყო 1983 წელს კიმ ფოტიევის ხელმძღვანელობით.
ამჟამად მას იასმილ გირგვლიანი ავარჯიშებს.
სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წევრი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი.
დაიკავა პირველი ადგილი ჭაბუკთა რესპუბლიკურ პირველობაზე „ოლიმპიელები ჩვენს შორისაა“.



რამდენიმე დღის წინ კი გაიმარჯვა საქართველოს თასის გათამაშებაში მოზრდილთა შორის.
საუკეთესო შედეგი — 579 ქულა (პპ-2).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უხეირო მზრუნველები

ჩვენ ვჩივით, რომ ფეხბურთელებმა და მწვრთნელებმა არ იციან თამაშის წესები, რაც ძალიან ართულებს მსაჯობას თუ მატჩების მსვლელობას და ხშირად ინციდენტის მიზეზი ხდება. ამავე დროს, არც ერთ გუნდში არ ვატარებთ წესების ცოდნის ყოველწლიურ შემოწმებას, რაც რესპუბლიკური ჩემპიონატების დებულებით არის გათვალისწინებული.

არა და არ მოხერხდა მეცენატობისა და ადგილუფროსობის სენის დაძლევა. ან კი როგორ მოხერხდება, როცა ჩვენ თითქოს ხელსაც კი ვუწყობთ რეგიონების ხელმძღვანელთა ასეთ არაჯანსაღ მეურვეობას თავიანთი გუნდების მიმართ და თვითონაც დაუშვებელ მაგალითებს ვაძლევთ მათ მნებელობითი გადაწყვეტილებებით, ფეხბურთის კანონიერების დარღვევით. ეს უნდა აღმოიფხვრას. რა გზით? ვთქვათ, გუნდმა ლიგაში ადგილი დაკარგა — არ დავუშვათ არავითარი კომპრომისი და მფარველობა; გუნდი უსაფუძვლოდ აცხადებს პრეტენზიას სადმე თამაშზე? — ისევ და ისევ, არავითარი პროტექცია ზევიდან! ფეხბურთელებს კატეგორიულად ეკრძალებათ თამაში ერთდროულად ოსტატთა გუნდებსა და რესპუბლიკურ პირველობაში — არავითარი გამონაკლისი! არსებობს ფეხბურთელთა გაფორმების წესი — არავითარი დარღვევა! არსებობს ფეხბურთელთა დასჯის წესი — არსებობდეს ყველასთვის თანაბრად! როცა ფეხბურთში კანონიერების დამრღვევი აუცილებლად დაისჯება, როცა ყველა დარწმუნდება, რომ წესს გვერდს ვერავინ აუვლის, ხელმძღვანელიც აღარ ეცდება „გამონაკლისის სახით" შეღავათი მოითხოვოს „თავისი" გუნდისთვის, ანდა თვითნებობა აქციოს უმაღლეს კანონად. ყველა ხელმძღვანელისათვის უმაღლესი უფლება ის არის, რომ არ ჰქონდეს უფლება დადგენილი წესი დაარღვიოს.

თვითნებობა დანაშაულია. მით უფრო — მასობრივ ფეხბურთში, სადაც განსაკუთრებით მკვეთრად არის გამიჯნული ცნებები: „მბრძანებლობა" და „ხელმძღვანელობა". შეჯიბრების ჩატარების წესი მრავალი პუნქტით არის რეგლამენტირებული. ეს სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ფეხბურთის ხელმძღვანელმა ორგანოებმა გუნდებს, ამ სიტყვის კარგი მნიშვნელობით, მეთაურობა გაუწიონ. მაგრამ როგორ ცხოვრობენ გუნდები? რა მუშაობა ტარდება იქ? საით უნდა წარიმართოს ეს მუშაობა? როგორ უნდა მოახდინო დადებითი გავლენა გუნდების ცხოვრებაზე? — აი, ეს უნდა იყოს ხელმძღვანელობის მთავარი საზრუნავი.

წინათ ამ საქმეს სერიოზული ყურადღება ექცეოდა. ახლა? სამმართველოს წარმომადგენლები თუ საზოგადოებრივი მუშაკები ერთხელაც არ ჩასულან რომელიმე რაიონში ადგილობრივი გუნდის შესამოწმებლად და კონკრეტული მეთოდური თუ ორგანიზაციული დახმარების გასაწევად. ადრე რესპუბლიკური პირველობის მონაწილე გუნდებში სამმართველოს წარმომადგენლები და საზოგადოებრივი მუშაკები ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებაში ნორმატივებს იბარებდნენ. ეს ხელს უწყობდა მათთან კავშირის განმტკიცებას და საწვრთნელი მუშაობის გაუმჯობესებას. ახლა დიდი ხანია ნორმატივების ჩათვლა დავიწყებას მიეცა. წინათ გუნდების წლიურ გეგმებსა და ანგარიშებს დეტალურად განიხილავდნენ, შედეგებს ამ გუნდებს აცნობებდნენ და პრესაშიც კი აქვეყნებდნენ. ეს ხელს უწყობდა მზადების დონისა და მწვრთნელთა კულტურის ამაღლებას. ახლა დაგეგმვა და ანგარიშგება — როგორც მუშაობის სისტემა — დავიწყებულია. წინათ ამ გუნდებს ჰქონდათ საგანგებოდ მათთვის შედგენილი დაგეგმვისა და მიმდინარე მუშაობის აღრიცხვის ჟურნალები. ორ წელიწადში ერთხელ ქვეყნდებოდა მეთოდური მითითებანი საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე გუნდებისთვის. მაგრამ მას შემდეგ ძალიან ბევრმა წყალმა ჩაიარა, მეჭირს კიდეც გავიხსენო, როდის იყო ეს.

ერთი სიტყვით, რესპუბლიკის ფიზკულტურის კოლექტივების საუკეთესო გუნდები ამ მხრივ ბედის ანაბარა არიან მიტოვებული.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ამ ბოლო დრომდე სრულიად მიტოვებული რაიონული და საქალაქო ფეხბურთი — მასობრიობის საფუძველთა საფუძველი. შეჯიბრებების ორგანიზაციაში ანარქია და მოჩვენებითი კეთილდღეობა მეფობდა. პირველობები ტარდებოდა სასპარტაკიადო წესით, როცა გუნდების ნახევარი მხოლოდ ერთ მატჩს ატარებდა, ერთი მეოთხედი კი — მხოლოდ ორს. თანაც, თვით სპორტული ღონისძიება ერთ-ორ კვირაში მთავრდებოდა. ასე რომ, ფეხბურთში მეცადინეობას სისტემატური ხასიათი არ ჰქონდა, უამისოდ კი იგი ჯანმრთელობისა და ოსტატობის ზრდას, ცხადია, ხელს ვერ შეუწყობდა. რაიონული გუნდები არსებითად, როგორც იტყვიან, საკუთარ წვენში იხარშებოდნენ და არავითარი სპორტული სტიმული არ ჰქონდათ, რამდენადაც ადგილობრივ შეჯიბრებებში მოპოვებული წარმატებები მათ გზას არ უხსნიდა უფრო მაღალ საფეხურზე ბრძოლისათვის.

რაიონული ფეხბურთი სამმართველოს ოდნავაც არ აინტერესებს. არ სწავლობს მის მდგომარეობას, ისიც კი არ იცის, რამდენი გუნდია სულ საქართველოში და როგორია მათი დისლოკაცია. ამ მიზნით შემოღებულ ერთდროული აღრიცხვის ფორმას პატრონი არ გამოუჩნდა. სამმართველოს მუშაკებმა რაიონებში მუშაობის გასაცნობად ჩასასვლელად ვერ „მოიცალეს". თუმცა, რაღა შორს მივდივართ, თვით თბილისშიც კი რაიონული პირველობები საერთოდ არ ტარდება.

რაიონული ფეხბურთის აყვავება ნიშნავს მასების ჩაბმას სისტემატურ სპორტულ მეცადინეობებში — ხალხის ფიზიკურ და ზნეობრივ გაჯანსაღებას, მის მონაწილეობას ამ შესანიშნავ საზოგადოებრივ გასართობში, ამ დიდებული თამაშით გატაცებას, რასაც შემდგომი დაოსტატება მოსდევს. მაგრამ განა შესაძლებელია ასეთი აყვავება, სანამ არ გამოცოცხლდება ადგილობრივ ფედერაციათა პრეზიდიუმების, მსაჯთა კოლეგიების, სპორტულ-ტექნიკური კომისიების, ორგმასობრივი კომისიების მუშაობა? მერე, ვისი უშუალო მოვალეობაა ეს გამოცოცხლება? რესპუბლიკური ფედერაციის, პრეზიდიუმისა და მისი ორგანოებისა. წრე შეიკრა. ჩვენ ისევ მათი მნიშვნელობის საკითხს მივადექით. მაგრამ, საინტერესოა: როგორ გამოაცოცხლებს ფედერაცია მუშაობას ადგილებზე, თუკი თვითონ არ შესწევს მუშაობის უნარი? ამ სიტყვებში, პირველ ყოვლისა, პრეზიდიუმს ვგულისხმობთ. საკმარისია ითქვას, რომ 1984 წლის ნოემბრიდან მას არც ერთი გეგმით გათვალისწინებული სხდომა არ ჩაუტარებია. პრეზიდიუმი იკრიბება მხოლოდ სხვადასხვა ფორსმაჟორულ გარემოებათა გამო, როცა ეს ფეხბურთის სამმართველოს უფროსს გ. ბაქანიძეს დასჭირდება. პრეზიდიუმს არა აქვს სამუშაო გეგმა. მისი მრავალრიცხოვანი ორგანოები, თუ მსაჯთა კოლეგიას, სპორტულ-ტექნიკურ და ორგმასობრივ კომისიებს არ ჩავთვლით, სრულიად უმოქმედოდ არიან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სწორედ პრეზიდიუმმა ჩაშალა ფედერაციის მუშაობა. რატომ მოხდა ეს? ამბობენ, პრეზიდიუმის შემადგენლობა არ იყო შრომისუნარიანიო. მაგრამ, როცა ყოველგვარი ინიციატივის საშუალებას და გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელ მინიმალურ თავისუფლებას უსპობ, რომელ საზოგადოებრივ მუშაკს არ დაეკარგება მუშაობის სურვილი? ამ „არაშრომისუნარიან" პრეზიდიუმში ბევრი შეძლებდა გამოეჩინა თავი, ატმოსფერო უფრო შემოქმედებითი რომ ყოფილიყო. საერთოდაც, ზოგიერთისთვის ალბათ საჭირო იყო დაწყებითი ბიძგი, კონკრეტული საქმის დავალება, წაქეზება, შესრულების შემოწმება, მათში პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივება.

ვისი საქმე იყო ყოველივე ეს პრეზიდიუმში?

თავმჯდომარისა? — ის მუდამ მოუცლელია და, გარდა ამისა, საეჭვოა, ასე ღრმად იყოს ჩახედული საქმეში. მოადგილისა? — შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ პრეზიდიუმს თავმჯდომარის მოადგილე არა ჰყავს. რჩება პრეზიდიუმის მდივანი — ა. ნიკოლაიშვილი. დიახ, პრეზიდიუმის მუშაობის ჩაშლაში, ბრალი, უპირველეს ყოვლისა, მდივანს ედება, მით უფრო, რომ მას ხელფასს უხდიან. გავერკვეთ: ვინ აგებს პასუხს იმისათვის, რომ პრეზიდიუმს საერთოდ არ ჰქონდა და არც ახლა აქვს სამუშაო გეგმა? რა თქმა უნდა, პრეზიდიუმის მდივანი; ვინ აგებს პასუხს იმისათვის, რომ პრეზიდიუმს 1984 წლის ნოემბრიდან გეგმით გათვალისწინებული არც ერთი სხდომა არ ჩაუტარებია? ცხადია, პრეზიდიუმის მდივანი; ვინ აგებს პასუხს სხდომათა ჩატარების წესისათვის, დღის წესრიგისა და რეზოლუციების მომზადებისათვის, დასწრების უზრუნველყოფისთვის? — მდივანი. ვინ აგებს პასუხს პრეზიდიუმის კომისიების უმოქმედობისთვის, იმისთვის, რომ სამუშაო გეგმა არ ჰქონდათ, არ იკრიბებოდნენ, რომ მათ არავითარ ამოცანებს არ უსახავდნენ? — ისევ და ისევ პრეზიდიუმის მდივანი. პრეზიდიუმის მუშაობის ჩაშლა დაიწყო სწორედ ამ ორგანიზაციული მომენტებიდან, რომელთა მოგვარებაც პრეზიდიუმის მდივნის ა. ნიკოლაიშვილის მოვალეობებში შედის.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ სწორი არ იქნება, თუ ყველაფერს მხოლოდ ნიკოლაიშვილს დავაბრალებთ. არ უნდა დაგვავიწყდეს ფეხბურთის სამმართველოს უფროსის გ. ბაქანიძის როლი პრეზიდიუმის უმოქმედობაში. მას ყოველთვის ცალკეულ საზოგადოებრივ აქტივისტებთან მუშაობა უფრო აძლევდა ხელს, ვიდრე აქტიურ ფედერაციასთან, რომელმაც მთლიანად დაკარგა სახე. გ. ბაქანიძე თვითონ ნიშნავს პრეზიდიუმის სხდომებს, ამტკიცებს დღის წესრიგს, მიემგზავრება პრეზიდიუმის წარმომადგენლად მოსკოვში და ასე შემდეგ.

როცა მსაჯთა საკავშირო კოლეგიამ რესპუბლიკური კოლეგიის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასა, გ. ბაქანიძემ ეს პრეზიდიუმს არც აცნობა. მანვე პრეზიდიუმს არ გააცნო მითითება აღმზრდელობითი კომისიის ორგანიზების შესახებ. ამგვარი უგულებელყოფა ძალიან უშლიდა და დღესაც უშლის ხელს პრეზიდიუმის მუშაობას.

ერთი სიტყვით, ნაკლი და ხარვეზი ბევრია. თუმცა ვშიშობ, ვაითუ სწორად ვერ გამიგონ. ლაპარაკია არა საერთოდ ქართული ფეხბურთის მდგომარეობაზე, არამედ ფეხბურთის ფედერაციისა და სამმართველოს მუშაობაზე: მხოლოდ იმაზე, თუ როგორ ხელმძღვანელობას უწევენ ისინი ჩვენს ფეხბურთს. ეს ორი სრულიად სხვადასხვა საკითხია. სადაც კი ვყოფილვარ, ფეხბურთს პოპულარობით სპორტის ვერც ერთი სახეობა ვერ შეედრება. იგი ყველგან უპირველესი გატაცებისა და სიყვარულის საგანია. ასეა საქართველოს მთიან და ცივ რაიონებშიც კი, სადაც თითქოს სულ არ არის პირობები ამ თამაშის განვითარებისთვის. ჩვენი ფეხბურთის მდიდარი ტრადიციები, მისი ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვები, მისი სასიცოცხლო ძალა — აი რა განაპირობებს, რომ იგი მუდამ სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს. საქართველოში ფეხბურთის ენთუზიასტები არასოდეს დაილევიან. ფეხბურთი მუდამ იქნება რესპუბლიკისა თუ მისი ცალკეული რეგიონების ხელმძღვანელთა განსაკუთრებული ზრუნვის საგანი. ეს ყველაფერი ისეთი საყრდენია, რომელსაც ვერ შეარყევს სამმართველოსა და პრეზიდიუმის ცუდი მუშაობა. ჩვენთან ბევრი თამაშობს ფეხბურთს — ზოგი უკეთესად, ზოგი უარესად, გუნდიც ბევრი გვყავს — ზოგი უკეთესი, ზოგი უარესი. ამ გუნდებთან ბევრი მწვრთნელი მუშაობს ან ფეხბურთელთა ცვლას ზრდის — ზოგი უკეთესად, ზოგი უარესად; ფეხბურთი დანერგილია ყველგან — რაიონებსა და ქალაქებში, სასწავლებლებში, ქარხანა-ფაბრიკებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, საბინაო სამმართველოებში — ზოგან უკეთესად, ზოგან უარესად.

განა ფედერაციის პრეზიდიუმმა და ფეხბურთის სამმართველომ შექმნეს თბილისის „დინამო", ქუთაისის „ტორპედო", ლანჩხუთისა და ბათუმის I ლიგის ოსტატთა გუნდები, II ლიგის შვიდი გუნდი, რესპუბლიკური ჩემპიონატის მონაწილე თითქმის რვა ათეული კოლექტივი, საფეხბურთო სკოლები და განყოფილებები? ისინი ცხოვრებამ შექმნა, ჩვენმა ფეხბურთმა შექმნა. მასობრიობის ზრდამ, ფართო გავრცელებამ, მრავალპლანიანობამ — აი, რამ გააძლიერა და აამაღლა საქართველოში ფეხბურთი. ჩვენ, ცხადია, არ უგულებელვყოფთ ფეხბურთის მმართველი ორგანოების როლს, მაგრამ იგი მაინც მეორადია. ეს ორგანოები კი არ ქმნიან, არამედ უკვე შექმნილს ემსახურებიან. საფეხბურთო ცხოვრებას აქვს თავისი ნაკლოვანებებიც (რომლებიც უნდა დავძლიოთ) და თავისი დადებითი მხარეებიც (რომლებიც კიდევ უფრო უნდა განვავითაროთ). და სწორედ ამ ზემოქმედებაში გამოიხატება ფეხბურთის მმართველი ორგანოების როლი, მნიშვნელობა და ფუნქცია. თუ ეს ორგანოები თავს ართმევენ თავიანთ მოვალეობას, წინსვლაც ჩქარდება, თუ ვერ ართმევენ — ფერხდება.

ეჭვი არ არის, სამმართველოს ბევრი მუშაკი, ისევე როგორც ბევრი საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე, დაძაბულად, მონდომებით შრომობს და საქმისთვის სარგებლობაც მოაქვს. აბა წარმოიდგინეთ, რამდენად შრომატევადი საქმეა თუნდაც ამდენი გათამაშების ჩატარება. ახლა მთელი ეს საკანცელარიო საქმე, რომელმაც, სამწუხაროდ, ლამის შთანთქას მთელი აპარატი? მაგრამ მთლიანად ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელი ორგანოები სათანადოდ ვერ ართმევენ თავს ფეხბურთის უფრო კონკრეტულ, უფრო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ღრმა ხელმძღვანელობას, რაც უთუოდ დაღს ასვამს მის განვითარებას.

მოვიყვან ერთ მაგალითს: საქმე ეხება ზონალურ შეჯიბრებათა ორგანიზაციას. შარშან, როგორც იქნა, დაიწყო ამ შეჯიბრებების ჩატარება. ასპარეზობაში ჩაებნენ რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები, გარდა მთიანი მესტიისა, ლენტეხის, ყაზბეგისა და თბილისის რაიონებისა; როგორც ვთქვით, თბილისში რაიონული პირველობები საერთოდ არ ტარდება.

მაგრამ ამ შეჯიბრებების დანერგვა გაჭიანურდა — შეხვედრების ჩატარება მოხერხდა მხოლოდ სეზონის მეორე ნახევრიდან, ერთ წრედ. მაინც რა მოხდა? ჯერ ერთი, გათამაშების დებულებაში სამმართველოს ზონები აერია; მეორე, საქმეს გვიან შეუდგა. მხოლოდ ზაფხულში მოეწყო ზონალური თათბირები და დაიწყო სათანადო ორგანიზაციული მუშაობა. ასე იყო თუ ისე, შარშანდელი ზონალური შეჯიბრებები დამაკმაყოფილებლად ჩატარდა. მაგრამ წელს მას ახალი საფრთხე ემუქრება. ფეხბურთის სამმართველომ წელიწად-ნახევარში ვერ შეძლო შეერჩია და სპორტკომიტეტის ბრძანებით საბოლოოდ გაეფორმებინა შტატიანი ინსპექტორები ოთხ ზონაში, ზონალურ შეჯიბრებებს სამმართველოში არავინ უწევს მეთვალყურეობას; ინსტრუქტორები ინსტრუქტირებისთვის არ შეკრიბეს; პირველი წლის ორგანიზაციული შედეგები არ განუხილავთ. არ არის გადაწყვეტილი მსაჯობისა და სპორტულ-ტექნიკური კომისიის მუშაობის საკითხები. ფეხბურთის ხელმძღვანელი ორგანოები ვალდებული არიან საქმის თაოსნები და წინამძღოლები იყვნენ, ისინი კი კუდში მისჩანჩალებენ მოძრაობას და სწორედ ეს არის მათი მთავარი ნაკლი.

...აი, ასეთ პირობებში შეიკრიბა პლენუმი. ასეთ დროს საჭირო იყო ფართოდ გაეღოთ კარი კრიტიკისათვის, დაუფარავად ეთქვათ სიმართლე, სააშკარაოზე გამოეტანათ ნაკლოვანებები, ემსჯელათ საჭირბოროტო საკითხებზე, დაესახათ სამომავლო გეგმები. მაგრამ პლენუმი მიაფუჩეჩეს, ჩაატარეს ფორმალურად, დემოკრატიის უხეში დარღვევებით.

დღის წესრიგი, დამტკიცებული პრეზიდიუმის მიერ, გადააკეთეს — ამოიღეს საინტერესო ან მწვავე, საჭირბოროტო საკითხები, მაგალითად, „დინამოს" და „ტორპედოს" მწვრთნელების ნ. ახალკაცისა და გ. ნოდიას ინფორმაცია გუნდების მზადების მსვლელობის შესახებ, ისევე როგორც მოხსენება რაიონული ფეხბურთის განვითარების ამოცანებზე. პრეზიდიუმის ეგრეთ წოდებული ანგარიში წინასწარ არავის განუხილავს. პლენუმის მონაწილეებისათვის 1986-1990 ხუთწლედის სარაიონო და რესპუბლიკურ პირველობათა დებულების გამრავლება ვერ მოასწრეს და დაუმთავრებელი სახით გამოიტანეს განსახილველად, ისე, რომ წინასწარ პრეზიდიუმზე არ უმსჯელიათ. რეზოლუციის შესამუშავებლად კომისია არ აურჩევიათ. რაც შეეხება ჩვენს ძველსა და საყვარელ მეგობარს კრიტიკას, მას მართლაც უხეშად მოექცნენ. ერთ-ორ მონაწილეს კრიტიკული გამოსვლა შეაწყვეტინეს მკაცრი შეძახილით: „რეგლამენტი"! და კრიტიკამ ღმერთს მიაბარა სული. სამაგიეროდ, პლენუმის ორგანიზატორებისთვის სასურველ შეკვეთილ გამოსვლებს ტრადიციული ადგილი დაეთმო. შემდეგ, ვითომდა პრეზიდიუმის შემადგენლობის განმტკიცების მიზნით, მისი შემადგენლობიდან გამოიყვანეს ოთხი სპეციალისტი, მოაწყვეს რეზოლუციის კენჭისყრა და პლენუმი დახურეს. ხალხი ისე დაიშალა, რომ პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობის საორგანიზაციო სხდომა არ ჩაუტარებიათ. ან დაავიწყდათ, ან ვერ მიხვდნენ, რომ საჭირო იყო! ასე რომ, პრეზიდიუმის განახლებულ შემადგენლობაში არც მოვალეობანი გაუნაწილებიათ.

გასაკვირი არ არის, რომ ზოგიერთმა ასეთი პლენუმი დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე დატოვა. ყველას გაუსწრო და პლენუმიდან შერცხვენილი გაიპარა დემოკრატია. თუმცა, გარეგნულად ყველაფერი რიგზე იყო. ეს ის ლამაზი გარეგნულობა გახლდათ, რომელზეც ამბობენ: „ფორმალურად სწორია, არსებითად კი ბოროტი დაცინვაა".

ეს არამც და არამც არ შეეფერება იმ სულისკვეთებას და განწყობილებას, რაც ამჟამად არის შექმნილი მთელს ქვეყანაში და ჩვენს რესპუბლიკაში.

სიმართლე დამალეს. აშკარად არადამაკმაყოფილებელ მუშაობას და მეთოდებს სათანადო შეფასება არ მისცეს. მაშასადამე, მომავლისთვისაც სწორედ ასეთ სტილსა და მეთოდებს დაულოცეს გზა. არა, ახლა ცოცხალი საქმის ასე დასამარებას არავის აპატიებენ! იქნებ არც ის იყოს შემთხვევითი, რომ ორგანიზატორებმა პლენუმზე პრესის წარმომადგენლები არ მიიწვიეს. ეტყობა, შექმნილი მდგომარეობის გამოაშკარავებისა და გახმაურებისა ეშინოდათ. მაგრამ, როგორც იტყვიან, შუბი ხალთაში არ დაიმალება.

ვლადიმერ მდივანი.

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 51).

მშვილდოსნობა

ტრადიციული, სარვამარტო

ამ დღეებში საქართველოს სპორტკომიტეტის ვაკის მძლეოსნურ მანეჟში დამთავრდა ჩვენი რესპუბლიკის მშვილდოსან ქალთა პირად-გუნდური პირველობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისისა და ზუგდიდის გუნდები. ასპარეზობაზე, რომელიც ტრადიციულად, ქალთა საერთაშორისო დღეს, 8 მარტს მიეძღვნა, წელს ზუგდიდელები პირველად წარსდგნენ. მოგეხსენებათ, საქართველოში მშვილდოსნობის გავრცელების არეალი ერთობ შეზღუდულია, ასე რომ, ზუგდიდელთა დებიუტი ნამდვილად აღნიშვნის ღირსია,

აღსანიშნავია ისიც, რომ წამყვანი თბილისელი მშვილდოსნები ამ შეჯიბრებაში არ გამოსულან.

ლია მაჩაბლიშვილი და რუსიკო მოდებაძე ხარკოვში, ზამთრის საკავშირო ჩემპიონატზე იმყოფებოდნენ, ირინე გრებენიკოვას კი ავადმყოფობამ შეუშალა ხელი. ცხადია, მათი არყოფნა დაეტყო როგორც პირად, ისე გუნდურ შეჯიბრებასაც.

ასპარეზობის პროგრამაში იყო მ-2 ვარჯიში — ორწრიანი შეჯიბრება 30, 50, 60 და 70 მეტრზე სროლაში.

პირად პირველობაში, რომელშიც 35 სპორტსმენი მონაწილეობდა, ყველას აჯობეს ბათუმელმა სპორტის ოსტატებმა, სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ წარმომადგენლებმა ვალენტინა ვორონოვამ და ნაზი დიასამიძემ. 15 წლის ვორონოვამ 2436 ქულა მოაგროვა, 76 ქულით გადააჭარბა ოსტატობის ნორმატივს და პირველი ადგილი დაიკავა. სპორტული სეზონის დასაწყისში ასეთი შედეგი ურიგო არ გახლავთ. 2394 ქულით მეორე იყო ნაზი დიასამიძე (ორივე მშვილდოსანს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ამირან შოუა ავარჯიშებს). თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ლელა თოფურია („ქარიშხალა“) პირველ წრეში სხვებზე ზუსტად ისროდა და აქ დაწინაურდა კიდეც, მაგრამ მეორეში ხელი მოეცარა და საბოლოოდ 2342 ქულით მესამე ადგილს დასჯერდა.

გუნდურ შეჯიბრებაში (თითოეული გუნდის ღირსებას 4-4 სპორტსმენი იცავდა) საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. აჭარა, 2. თბილისი, 3. აფხაზეთი.

რუსუდან კილაძე.

დღეს „ნეპშტადიონზე“

ბრაზილიელ ფეხბურთელთა ევროპაში გამგზავრებას წინ საკმაოდ ხანგრძლივი დისკუსია უძღოდა. ბევრნი, მათ შორის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ტელე სანტანაც ამ ტურნეს კატეგორიული წინააღმდეგი იყო. კრიტიკულად განწყობილი მიმომხილველები დაუფარავად აცხადებდნენ, რომ ბრაზილიის ნაკრებმა სულ ახლახან დაიწყო მსოფლიო ჩემპიონატისწინა სამზადისი, ფეხბურთელები არ იყვნენ ხეირიანად შეთამაშებული. ტრავმების გამო გუნდს აკლდნენ წამყვანი მოთამაშეები ზიკო და ლეანდრო, იტალიის პროფესიულმა კლუბებმა არ გამოუშვეს წამყვანი ფეხბურთელები ჟუნიორი, სერეზო, ედინიო, დირსეუ, ამდენად, ამ პირობებში ბრაზილიელთა ნაკრებს ევროპაში ფათერაკების საძებნელად გამგზავრება კი არ ესაჭიროებოდა, არამედ საფუძვლიანად მზადება და შეთამაშება. მომავალ ორ მატჩს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და უნგრეთის მეტად ძლიერ გუნდებთან შეეძლო შეელახა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონთა და მომავალი ფინალური ტურნირის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტის მაღალი პრესტიჟი. პირველ საწვრთნელ ეტაპზე ჯობდა შედარებით სუსტი მეტოქეების შერჩევა.

თვით ტელე სანტანა ევროპაში გამგზავრების წინააღმდეგი კი იყო, მაგრამ ბელო-ორიზონტეში გამართულ პრესკონფერენციაზე მან დარწმუნებით განაცხადა: ბრაზილიელი ფეხბურთელები ახლა არნახული ენთუზიაზმით ვარჯიშობენ და ოპტიმიზმითაც არიან აღსავსენი ესპანეთის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, დაახლოებით ამავე პერიოდში, გუნდი ასე კარგად არ გამოიყურებოდა, არც ფეხბურთელთა შორის იგრძნობოდა ესოდენ დიდი მონდომება.

ძნელი სათქმელია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებთან მარცხით მიადგა თუ არა რაიმე ჩრდილი ბრაზილიის ნაკრებს, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელები იმედოვნებენ, რომ უახლოეს ხანებში ყველაფერი გამოსწორდება, მით უფრო, როცა ნაკრებს დაუბრუნდებიან იტალიაში მყოფი საუკეთესო ფეხბურთელები, „მწყობრში ჩადგებიან ზიკო და ლეანდრო და, მაინც, ბრაზილიელები შიშის თვალით უყურებენ დღევანდელ თამაშს უნგრელებთან. ასეთი რანგის მატჩის შედეგი სამუდამოდ შედის საერთაშორისო შეხვედრათა ისტორიაში და ბრაზილიელებსაც სრულიადაც არ სურთ გაიფუჭონ თავიანთი ტრადიციული ბალანსი.

ტელე სანტანამ კვლავ განაცხადა, რომ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში მის გუნდში წამყვან პოზიციებზე ითამაშებენ ლეანდრო, ზიკო, ფალკაო, ედერი და სოკრატესი, ახალგაზრდებმა კი სწორედ მათს გვერდით უნდა ისწავლონ თამაში.

დიდი ინტერესით მოელიან დღევანდელ თამაშს უნგრეთშიც. ამ ქვეყნის საფეხბურთო წრეები არ მალავენ, რომ ბრაზილიელებთან მატჩი მათი შესაძლებლობების საბრძოლო გამოცდა იქნება, ამიტომაც ისინი არაფერს დაზოგავენ, რათა კარგი თამაში აჩვენონ და თავიანთი პოტენციური შესაძლებლობებიც სრულად გამოავლინონ.

უნგრეთის ნაკრების უფროსი მწვრთნელი დიერდ მეზეი ბოლო დღემდე საიდუმლოდ ინახავდა გუნდის შემადგენლობას, რომელიც მან ბრაზილიელებთან მატჩში უნდა გამოიყვანოს. მწვრთნელის განკარგულებაში კი ახლა 23 ფეხბურთელია. ნაკრების კანდიდატთა უმეტესობა ბუდაპეშტის ცნობილი კლუბის „ჰონვედის“ წევრებია (7 მოთამაშე), გარდა ამისა, დ. მეზეიმ იმ უნგრელ ფეხბურთელებსაც მოუხმო, რომლებიც უცხოეთის კლუბებში გამოდიან: ნახევარმცველი ბურჩა (საფრანგეთი, „ოსერი“), თავდამსხმელი ესტერჰაზი (საბერძნეთი, აეკ), ნილაში (ავსტრია „აუსტრია“) და სოკოლაი (ავსტრია, „შტურმი“).

შეგახსენებთ, უნგრეთისა და ბრაზილიის გუნდების შეხვედრის ტელერეპორტაჟი დღეს დაიწყება 18 საათსა და 30 წუთზე თბილისის დროით.

MEXICO86

ენცო ბეარზოტის აღსარება

„ფეხბურთი — ეს ფანტაზიაა და მშვენიერების სიყვარული. ფეხბურთს თავზე არავინ მოგახვევთ, მაგრამ მას შეიყვარებ ბავშვობიდანვე, შეიყვარებ ერთხელ და სამუდამოდ“.

ესა თქვა იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა 58 წლის ენცო ბეარზოტმა ამას წინათ ჟურნალისტებთან საუბარში.

ენცო ბეარზოტი დიდად ცნობილი კაცია საერთაშორისო ფეხბურთში, თავის დროზე მან 400 მატჩი ჩაატარა იტალიის უმაღლესი ლიგის ჩემპიონატებში, ხოლო შემდგომში, თითქმის ათი წელია სათავეში უდგას იტალიის ეროვნულ ნაკრებს, ამ გუნდმა კი როგორც იცით, 1982 წელს მისი ხელმძღვანელობით მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

— მაშინ მე შემეძლო, და ამის მორალური უფლებაც მქონდა, ყველაფერი მოთავებულად ჩამეთვალა და ჩემი ადამიანური ბედნიერების უმაღლეს წერტილზე შევჩერებულიყავი. მაგრამ ეს არ ძალმიძს — ფეხბურთი ჩემი გატაცებაა, ვშრომობ ისევე, როგორც წინათ და კიდევ უფრო მეტადაც, ვინაიდან მსოფლიო ჩემპიონის ტიტული ბევრს, ძალიან ბევრს გვავალებს, იტალიური ფეხბურთი კი ახლა პრობლემებითაა აღსავსე. ყველას და ყოველთვის ვეუბნები: კრიტიკა, სამართლიანი შენიშვნები და თვით სკეპტიკური განწყობილებაც კი მუდამ ხელს მიწყობს, მეხმარება საქმიანობაში. სულ უბრალო გულშემატკივარიც ზოგჯერ ისეთ მოულოდნელ სიმართლეს გეტყვის, ბევრ რამეზე აგიხელს თვალს, — დაუმატა ე. ბეარზოტმა.

იტალიის ნაკრების მწვრთნელს ღრმად სწამს, რომ ფეხბურთი ნამდვილი რომანტიკაა და თუ პროფესიულ სპორტში ბიზნესი მძიმე დაღს ამჩნევს ამ რომანტიკას, ფეხბურთის შინაგანი არსი მაინც უცვლელი რჩება. ე. ბეარზოტი ყოველთვის დაუფარავ აღშფოთებას გამოთქვამს, როცა თანამედროვე საერთაშორისო ფეხბურთში ხედავს უკანონობას, უხეშობას, მსაჯთა მიკერძოებას, კორუფციას, მოსყიდვას. ყველაფერი ეს შორს უნდა იყოს ნამდვილი ფეხბურთისაგან.

— ფეხბურთი, — განაგრძობს ე. ბეარზოტი, — ბოლო ხანებში სხვადასხვა ჯურის საქმოსნებისა და ავანტიურისტების სარფიან ეკონომიკურ არენად იქცა, საფეხბურთო სამყარო დაანაგვიანეს იმ უცხო ადამიანებმა, რომლებიც ამ შესანიშნავ თამაშში მარტოოდენ კომერციას, თვითრეკლამას და შემოსავალს ხედავენ.

მსოფლიო ჩემპიონთა უფროსი მწვრთნელის მაღალი მწვერვალიდან ე. ბეარზოტი ყველაზე კარგად ხედავს იტალიური ფეხბურთის გადაუჭრელ პრობლემებს. იგი, მაგალითად, მუდამ წინააღმდეგი იყო უცხოეთის ქვეყნებიდან პროფესიონალ ფეხბურთელთა მასობრივი იმპორტისა, ვინაიდან ეს საგრძნობლად ამუხრუჭებს საკუთარ ახალგაზრდა ფეხბურთელთა დაწინაურების საქმეს. როცა იტალიის პროფესიულ გუნდებში თამაშობენ ბრაზილიელი, ფრანგი, დასავლეთგერმანელი, არგენტინელი, ურუგვაელი და სხვა უცხოელი ფეხბურთელები, ადგილობრივი ჭაბუკები ყურჩამოყრილნი სხედან სკამზე, მათი სპორტული კარიერაც დასაწყისიდანვე ჩახშულია.

— მე არა მარტო ძლიერ ფეხბურთელებს ვეძებ, — განაცხადა ე. ბეარზოტმა, — არამედ იმ ადამიანებსაც, ვისაც გულწრფელად, ხალასი გრძნობით უყვარს ფეხბურთი, ვინც უყურადღებოდ არ დატოვებს ნიჭიერ იტალიელ ფეხბურთელს.

ე. ბეარზოტს უთხრეს, რომ მან ერთხელ უღალატა თავის მაღალ პრინციპებს, როცა 1982 წელს იტალიის ნაკრებში როსი და ჯორდანო მიიწვია. მართალია, მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ისინი საუკეთესო ფეხბურთელებად აღიარეს, მაგრამ ერთიც და მეორეც გარეული იყო წინასწარ გარიგებულ თამაშებში და ტოტალიზატორის მაქინაციებში. ე. ბეარზოტმა ამის პასუხად განაცხადა, რომ მან დღემდე არ იცის სრული სიმართლე, ალბათ, ვიღაცას ხელს აძლევდა მთელი ბრალდება და დანაშაულის სიმძიმე რამდენიმე ფეხბურთელზე გადაებრალებინა, იმ მაქინაციებში ბევრი ხალხი იყო ჩაბმული, რომელთა უმეტესობა სუფთად ამოვიდა ბინძური წყლიდან. ფეხბურთი, სამწუხაროდ, ასე შეიცვალა ბოლო ხანებში და როსის, ჯორდანოსა და სხვებს არაფერი შეუძლიათ გააწყონ საყოველთაოდ მოძალებული ბიზნესის წინააღმდეგ.

„მისტერ-0,5“

ბევრ საფეხბურთო ექსპერტს მიაჩნია, რომ ევროპის საუკეთესო სნაიპერია დანიელი პრებენ ელკიაერ-ლარსენი. ვერონის „ელასის“ თავდამსხმელმა იტალიის ჩემპიონატში შარშან 13 ბურთი გაიტანა, იტალიის თასის მატჩებში — 3, ევროპის საკლუბო ტურნირში — 4 და დანიის ნაკრების შეხვედრებში — 5. საერთოდ, 43 მატჩში მან 25 ბურთი გაიტანა, რაც საშუალოდ 0,58 პროცენტს შეადგენს. ეს აღემატება პლატინის შედეგს (0,49). ელკიაერ-ლარსენმა „მისტერ-0,5“-ის მეტსახელი დაიმსახურა, რადგან ყოველ 2 მატჩში ერთი ბურთი მაინც აუცილებლად გააქვს.

თარიღები დაზუსტდა

როგორც უეფა-ს აღმასკომის წარმომადგენელმა რომში გამართულ სხდომაზე გამოაცხადა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალი 7 მაისს გაიმართება სევილიაში, ხოლო თასების მფლობელთა თასის ფინალი კი 2 მაისს — ლიონში.

ევროპის ჩემპიონთა თასი კალათბურთში

დარჩა ერთი შეხვედრა

ევროპის ქვეყნების ჩემპიონ თასის სუპერფინალში ზაგრე „ციბონას“ და კაუნასის „ჟალგი სის“ კალათბურთელები გაუბ გადამწყვეტი მატჩი, რომელიც ს პატიო ჯილდოს წლევანდელი მფლ ობელის ვინაობას გამოავლენს, 3 აპრილს ბუდაპეშტში გაიმართე

ამ დღეებში გაიმართა ფინალ ტურნირის ბოლო სამი მატჩი, რ მელთაგან განსაკუთრებული მნიშ ნელობა მადრიდის „რეალისა“ დ კაუნასის „ჟალგირისის“ შეხვედრ ჰქონდა. სასურველ მიზანს უფრ ახლოს თითქოს ესპანელი კალა ბურთელები მიუახლოვდნენ. ისინ შინ თამაშობდნენ და ბუნებრივ მაყურებლების მხურვალე მხარ ჭერით სარგებლობდნენ.

მატჩის პირველი ნახევარი „რ ალმა“ ერთი ქულის უპირატესობ მოიგო — 51:50. 36-ე წუთზე „ჟა გირისმა“ გაათანაბრა ანგარიში 85:85. ამის შემდეგ ბრძოლა ც ლებადი უპირატესობით წარიმართ მატჩის დამთავრებამდე 28 წამ ადრე წინ უკვე „ჟალგირისი“ ი — 96:92. დარჩენილ დროში „რ ალმა“ ერთი სამქულიანი, „ჟალგ რისმა“ კი ორქულიანი სროლა გ ნახორციელა და შეხვედრაც დ თავრდა. საბჭოთა კალათბურთელ ბმა გაიმარჯვეს ანგარიშით 98:95.

საფრანგეთის „ლიმოჟმა“ ზაგრ ბის „ციბონას“ უმასპინძლა. იუგ სლაველებმა მატჩის პირველი ნ ხევარი 8 ქულით მოიგეს (65:57), ინიციატივა შესვენების შემდეგ შეინარჩუნეს და გაიმარჯვეს 106:95.

ფინალური ტურნირის მესამ წყვილის იტალიის „ოლიმპია სიმ კისა“ და თელ-ავივის „მაკაბი“ შეხვედრის შედეგს მხოლოდ საპ ესტიჟო მნიშვნელობა ჰქონდა. იტ ალიელებმა გაიმარჯვეს შინ დ გათამაშების ცხრილში მესამე ად გილი დაისაკუთრეს.

სუპერფინალური მატჩის წინ სა ტურნირო ცხრილი, რომელშიც ფა ქტიურად არანაირი ცვლილება ა მოხდება, ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	წ.	ბ.
„ციბონა“	10	7	3	977-913
„ჟალგირისი“	10	7	3	931-915
„ოლიმპ. სიმაკი“	10	6	4	881-887
„რეალი“	10	5	5	944-906
„მაკაბი“	10	4	6	907-946
„ლიმოჟი“	10	1	9	900-1013

თქვენი სვლა

ამოცანა

რევაზ თავარიანი

(თბილისი)



შამათი ორ სვლაში

„ლელოს“ 11 მარტის ნომერში დაბეჭდილი პ. ხეიკერის (ავსტრია) ეტიუდი ასე ამოიხსნება: 1. კa7 კa1 2. მფb1 კc3 3. მფc2 კa1 4. კd4 კ:d4 5. მფd3 კa1 6. მფe4 მოგებით. თუ 4. ...ed, მაშინ 5. მფd3 მოგებით.

ეკრანზე და ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 16 მარტი. რიტმული ტანვარჯიში — 9.40 (1); „სპორტლოტოს“ ტირაჟი— 10.20 (1); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — 17.00 (2); საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში: უნგრეთი (ნაკრები) — ბრაზილია (ნაკრები) — 18.30 (1); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „შახტიორი“ (დონეცკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) — 20.15 (2); საფეხბურთო მიმოხილვა — 23.50 (1).

17 მარტი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); სპორტული კვირეული — 0.05 (1).

საქართველოს ტელევიზია. 16 მარტი. სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში: „დინამო“ (თბილისი) — ცსკ ვმფ — 18.40; საერთაშორისო შეხვედრა ფეხბურთში: უნგრეთი (ნაკრები) — ბრაზილია (ნაკრები) — 18.30; საფეხბურთო მიმოხილვა — 23.50.

17 მარტი. სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალბურთში: „დინამო“ (თბილისი) — „მოსკვიჩი“ — 14.15; სპორტული გადაცემა „მობურთალსა მოედანი“ — 16.45; სპორტული პროგრამა — 22.40.

საქართველოს რადიო. 16 მარტი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — 14.30; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „დინამო“ (თბილისი) — 16.00; „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) — 19.00.

რედაქტორის მოადგილე
თ. გაჩეჩილაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ., 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსი:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 00369